

განცხადება

საკონსულტაციო მომსახურების თანმდევი ზომები

ბოლო ვადა: 2 სექტემბერი,
2022 წელს

14:00 (საქართველოს დრო)

საქართველო

BMZ No.: 2021 68 763 და 2021 70 306

KfW - შესყიდვის ნომერი.: 508503

პროექტის თანმდევი ზომების საკონსულტაციო მომსახურების წინა-საკვალიფიკაციო ეტაპი

წყლის კომუნალური ინფრასტრუქტურა- ფაზა V

სატენდერო სააგენტო:

თვითმმართველი ქალაქი ბათუმი
ლუკა ასათიანის ქ. 25
6010 ბათუმი, საქართველო

ტენდერის აგენტი:

ბატონი შტეფან მეშკე
ამ კრანენ 6
96049 ბამბერგი, გერმანია
ელ.ფოსტა: s.meschke@eng-ms.de

პროგრამული ღონისძიებები:

პროექტის ფარგლებში დაფინანსდება შემდეგი საინვესტიციო ღონისძიებები:

- ადგილის წყალარინების გამწმენდი ნაგებობის განახლება;
- ჩაქვის წყლის გამწმენდი ნაგებობის რეკონსტრუქცია;
- საკანალიზაციო სისტემის გაფართოება;
- წყალმომარაგების სისტემის გაფართოება;

საჭირო საკონსულტაციო მომსახურება:

თვითმმართველი ქალაქი ბათუმი ითხოვს კვალიფიციური კონსულტანტის ჩართვას თანმდევი ზომების მხარდაჭერის მიზნით:

- დაინტერესებულ მხარეთა საერთო კოორდინაცია;
- პასის დახმარება საშტატო გეგმებისა და სამუშაო არწერილობების შემუშავებაში, ტრენინგები შესყიდვების წესებსა და პროცედურებში, პასის სენსიბილიზაცია გარემოსდაცვის, სოციალური, ჯანრთელობისა და უსაფრთხოების მოთხოვნების მიმართ;
- პასის როლის გაძლიერება საკუთარ ორგანიზაციულ სტრუქტურაში;
- მხარდაჭერა მართვასა და ადმინისტრაციულ ამოცანებში, როგორცაა ბიზნეს გეგმის განახლება, ორგანიზაციული სტრუქტურის აქტუალიზაცია და ადაპტირება და ა.შ.

- მხარდაჭერა მენეჯერულ და ფინანსურ საკითხებში, განსაკუთრებით ყოველწლიური სატარიფო გეგმების შემუშავებაში;
- დახმარება საექსპლუატაციო და ტექნიკურ საკითხებში, ახალი გამწმენდი ნაგებობების ექსპლუატაციის კონცეფციების შემუშავებაში და ა.შ.;
- სხვა ზომები, რომლებიც ჩათვლილია საჭიროდ და ჯერ არ არის განსაზღვრული;

საჭირო იქნება მაღალკვალიფიციური საერთაშორისო ტექნიკური გამოცდილება ახლად დანერგილი წყალმომარაგებისა და წყალარინების გამწმენდი ნაგებობების ფუნქციონირების მხარდასაჭერად.

საკონსულტაციო მომსახურების დაწყება 2023 წლის იანვრიდან იგეგმება.

დავალების დაგეგმილი ხანგრძლივობაა 72 თვე.

კონსულტანტებს მოუწოდებენ საერთაშორისო და ადგილობრივი ფირმების ასოციაციების შექმნას. წამყვანი კონსულტანტი უნდა იყოს საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანია.

ყველა საკონსულტაციო აქტივობა უნდა განხორციელდეს პასთან მჭიდრო თანამშრომლობით და სათანადოდ უნდა იყოს გათვალისწინებული პროგრამის მიზნები და KfW ბანკის შესაბამისი სახელმძღვანელო მითითებები.

გამოცდილი კონსულტანტების წინა-საკვალიფიკაციო პროცედურა ხელმძღვანელობს KfW-ს „პარტნიორ ქვეყნებთან ფინანსური თანამშრომლობის ფარგლებში საკონსულტაციო სერვისების, სამუშაოების, ნაგებობების, საქონლისა და არასაკონსულტაციო სერვისების სახელმძღვანელოს მითითებებით“, რომელიც ხელმისაწვდომია KfW-ის ინტერნეტ ვებგვერდზე (2021 წლის იანვარი):

<https://www.kfw-entwicklungsbank.de/International-financing/KfW-Development-Bank/Publications-Videos/Publication-series/Guidelines-and-contracts/>

გათვალისწინებულია მომსახურების მიწოდება საერთაშორისოდ მოქმედი საკონსულტაციო ფირმისთვის და სასურველია ადგილობრივ კონსულტანტებთან თანამშრომლობით, რომლებსაც აქვთ დიდი გამოცდილება შესაბამის სფეროებში; წამყვანი კონსულტანტის და ყველა ასოცირებული პარტნიორის წლიური ბრუნვა უნდა აჩვენებდეს კონსორციუმისთვის აუცილებელ საშუალო წლიურ ბრუნვას მინიმუმ **2.0 მილიონი** ევროს ოდენობით.

დამატებითი ინფორმაცია:

დამატებითი ინფორმაციის (ხელმისაწვდომია მხოლოდ ინგლისურ ენაზე) მიღება შესაძლებელია უფასოდ ტენდერის აგენტისგან ზემოთ მითითებულ მისამართზე წერილობითი მოთხოვნის გაგზავნის საფუძველზე. ის გაიგზავნება მხოლოდ ელექტრონულად (ელ. ფოსტით). არანაირი პასუხისმგებლობა არ იქნება დაკისრებული დაკარგვის ან დაგვიანებული მიწოდების შემთხვევაში.